

International Conference: Humanities in the Information Society – II, Batumi Shota Rustaveli State University, 24-26 October 2014, Batumi

Svetlana Berikashvili

TSU, Institute of Classical, Byzantine and Modern Greek Studies

One Peculiarity of Pontic Greek Dialect (Archaic elements in Pronoun system)

Handouts

**ახალი ბერძნულის პონტოური დიალექტის ერთი
თავისებურებისათვის
(არქაული ელემენტები ნაცვალსახელთა სისტემაში)
სკოლანა ბერიძაშვილი
თხუ, კლასიკური ფილოლოგიის, ძირანტინისტიკისა და ნეოგრეკისტიკის
ინსტიტუტი**

შესაგალი

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ გამოთქმულა მოსაზრება, რომ ახალი ბერძნულის პონტოური დიალექტი ძველი ბერძნულის იონიურ დიალექტთან უფრო ახლოსაა, ვიდრე თანამედროვე ბერძნულთან (იხ. მ. დეფნერი, გ. ხაძიდავისი, ა. პაპადოპულოსი, პ. ბორტონე, პ. მაკრიჯი, ხ. ძიძილისი და სხვ.), მაგრამ საქართველოში მცხოვრები პონტოელი ბერძნების მეტყველება ამ თვალსაზრისით ჯერ არავის განუხილავს. ჩვენი მოხსენება ზუსტად ამ საკითხს ეხება. ჩატარებული პვლევა განხორციელდა საერთაშორისო პროექტის: არსებული ტრანსფორმაციული პროცესების ზეგავლენა ენასა და ეროვნულ იდენტობაზე: ურუმი და პონტოელი ბერძნები საქართველოში ფარგლებში (ბილეფილდის უნივერსიტეტი, გერმანია).*

მეთოდოლოგია

პვლევისას ვეფუძნებით მულტიმედიური კორპუსის მონაცემებს. ინფორმაციტა ჩანაწერები მიჰყვება საერთაშორისო სტანდარტებს, აღნიშნულ

* This article is part of the project *The impact of current transformational processes on language and ethnic identity: Urum and Pontic Greeks in Georgia*, funded by Volkswagen Foundation; Bielefeld University & Tbilisi State University.

ჩანაწერთა გლოსები შესრულებულია კომპიუტერული პროგრამების ELAN¹-ის და Toolbox²-ის გამოყენებით და მიჰყება გლოსირების ლაიფციგის წესებს³. გარკვეული საკითხების განხილვისას ვიყენებთ აღწერით მეთოდსაც და ვავლებთ პარალელებს ძველ ბერძნულ და ახალ ბერძნულ სისტემებს შორის. მოხსენებაში შემოვიფარგლეთ მხოლოდ იმ არქაული ელემენტებით, რომელიც პონტოური დიალექტის ნაცვალსახელთა სისტემაში გვხვდება.

არქაული ელემენტები

მოხსენება მოიცავს შემდეგ საკითხებს: ა) მთლიანად იდენტურ ფორმებს; ბ) მორფოლოგიური ნიშნების დონეზე იდენტურ ფორმებს (მაგ., ბრუნების პარადიგმის); გ) სინტაქსური წყობის სხვადასხვა ფორმებში დამთხვევის შემთხვევებს (მაგ., კუთვილებითი ნაცვალსახელების პრეპოზიციური წყობა), და; დ) სინტაქსური კონსტრუქციების დამთხვევის შემთხვევებს (მაგ., კითხვითი ან უარყოფითი კონსტრუქციის).

იდენტური ფორმები

პონტოურ დიალექტში ნაცვალსახელთა სისტემაში მრავალი ფორმა გვხვდება, რომელიც ან მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც იმეორებს ძველი ბერძნულისათვის დამახასიათებელ ფორმებს. მთლიანად იდენტური ფორმების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი *bbza*, *γρωτ-γρωτο* (ორიდან ერთი) *ἔτερος*, *ἔτερα*, *ἔτερον*, რომელიც ამავე სახით პონტოურშიც გვხვდება *έτερος*, *έτερα*, *έτερον* ან კუთვნილებითი ნაცვალსახელი *ჩემი*, *ჩვენი* - *τ'εμόν*, *τ'εμέτερον*, რომელიც სხვა არაფერია თუ არა ძველი ბერძნულისათვის დამახასიათებელი ფორმები *ἐμόν*, *ἐμέτερον* (Bortone 2009:84). ახალ ბერძნულში ასეთი ფორმები არ დასტურდება, აქ კუთვნილებით ნაცვალსახელად გამოიყენება ფორმები *μου*, *μας* (Τριανταφυλλίδης 2002:292). საქართველოში მცხოვრებ პონტოურ ბერძენთა მეტყველებაში კი მსგავსი ფორმები საკმაოდ ხშირია, მაგალითად,

¹ ი.ბ. <https://tla.mpi.nl/tools/tla-tools/elan/>

² ი.ბ. <http://www-01.sil.org/computing/toolbox/>

³ <http://www.eva.mpg.de/lingua/resources/glossing-rules.php>

Ólæ	ta	karðiás	xérundan
all:N.PL.NGEN	DEF:N.PL.NGEN	heart:N.PL.NGEN	be_happy:IPFV.PST:3.PL
Q	D	N	V
ke t-	emón	pánda kleménon	
and DEF:N.SG.NGEN	POSS.1.SG	always crying:N.SG.NGEN	
C D	PN	Adv PTCP	

Kotanidi et al. 2014: PNT-TXT-CL-00000-B08.002

აქევ გვსურს ყურადღება შეგაჩეროთ კიდევ ერთ ფენომენზე, რომელიც პონტოს დიალექტის კუთვნილებითი ნაცვალსახელებისათვისაა დამახასიათებელი, კერძოდ ეს გახლავთ ფონეტიკური მოვლენა - კრასისი, რომელიც პონტოს დიალექტში არტიკლებს ახასიათებს, ისევე როგორც ძველ ბერძნულში. ძველ ბერძნულში, მაგალითად, ო აუτός ბრუნებისას, არტიკლის ფორმები როდესაც იწყებოდა τ-დან და მას ხმოვანი მოჰყვებოდა, კრასისის შედეგად ნაცვალსახელის ფორმებს შეერწყმოდა, მაგალითად, ταύτοῦ = τοῦ αὐτοῦ (Соболевский 1948:71). მხგავსი სახის ფენომენი გვაქვს პონტოურში τ'εμόν, τ'εμέτερον ნაცვალსახელების გამოყენებისას: τεμόν = το εμόν, τεμέτερον = το εμέτερον, τεμά = τα εμά, τεμέτερα = τα εμέτερα.⁴

აღსანიშნავია, რომ ძველ ბერძნულში საკუთრივ კუთვნილებითი ნაცვალსახელის გარდა, კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუნქციით პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებიც გამოიყენებოდა. ანუ, პარალელურად გვხვდებოდა ფორმები: ო ეμός φίλος და ო ფίλος μου. θυσტად პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმა შემორჩა ახალ ბერძნულს. პონტოურში ასევე, პარალელურად ორივე ფორმა გვხვდება τ'εμόν η μάνა და η μάνα μου.

კუთვნილებითი ნაცვალსახელების წყობა

სინტაქსური თვალსაზრისით ძველ ბერძნულში კუთვნილებით ნაცვალსახელებს პრეპოზიციური წყობა აქვს, ანალოგიურადაა პონტოურ დიალექტში.

⁴ პონტოს დიალექტის გრამატიკებში ეს ფორმები ჩვეულებრივ აპოსტროფით იწერება.

შდრ. ძველი ბერძნული

Sózomen	ton	heméteron	filon
save:1.PL	DEF:M.SG.ACC	POSS.1.PL.ACC	friend:M.SG.ACC

(Соболевский 1948:73)

პონტოური

t-	eméteron	to	xoríon
DEF:N.SG.NGEN	POSS.1.PL:N.SG	DEF:N.SG.NGEN	village:N.SG.NGEN
D	PN	D	N
en	tsixisdzhvári		
be:PST:3.PL	Tsikhisjvari		
V	NPRP		

Kotanidi et al. 2014: PNT-TXT-CL-00000-B01.001

ახალ ბერძნულში კი პირიქით პოსტპოზიციური წყობაა, ვინაიდან ახალმა ბერძნულმა პირის ნაცვალსახელთა სუსტი ფორმები შემოინახა. ის ყოველთვის საზღვრული სიტყვის შემდეგ დგას და მასთან შერწყმულად გამოითქმის. მაგალითად, **η ικανότητά μου** είναι μεγάλη (ბერიკაშვილი 2012:108).

ანალოგიურად, პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმები ძველ ბერძნულსა და პონტოს დიალექტშიც საზღვრული სიტყვის შემდეგაა.

მაგალითად,

...érshesne	i	<u>θía</u>	mu
...come:IPFV.PST:3.SG	DEF:F.SG.NOM	<u>aunt:F.SG.NGEN</u>	CL.1.SG:GEN
V	D	<u>N</u>	CL
i	María		
DEF:F.SG.NOM	Maria:F.SG.NGEN		
D	NPRP		

Kotanidi et al. 2014: PNT-TXT-CL-00000-B07.001

რაც შეეხბა საკუთრივ, კუთვნილებითი ნაცვალსახელების გამოყენებას ძველ ბერძნულ და პონტოურ დიალექტში, განსხვავება აქ იმაშია, რომ ძველი ბერძნულის კუთვნილებითი ნაცვალსახელი სქესსა და ბრუნვაში ეთანხმება

საზღვრულს, მაშინ როდესაც პონტოურში ნაცვალსახელად საშუალო სქესის ფორმაა განზოგადებული (Τομπაშη 1988:62) და იგი უბრუნველია, მაგალითად,

t-	eméteron	i	<u>ylósa</u>
DEF:N.SG.NGEN	POSS.1.PL:N.SG	DEF:F.SG.NOM	language:F.SG.NGEN
D	PN	D	N
en	polí arxéa		
be:PST:3.PL	much ancient:N.PL.NGEN		
V	ADV A		

Kotanidi et al. 2014: PNT-TXT-LG-00000-B02.001

საშუალო სქესის განზოგადების ტენდენცია საერთოდ დამახასიათებელია პონტოური დიალექტისთვის. ეს ჩანს, მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმებისას, უცხო ენებიდან სიტყვების სესხების, და მრავლობითში მდედრობითი სქესის სახელების გადაყვანის დროს.

პარადიგმების დონეზე იდენტური ფორმები

პონტოურ დიალექტში პარადიგმის დონეზე იდენტური ფორმებიც გვხვდება, მაგალითად, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი კინძე, რამე ი ბეინაც, η ბეინა, თო ბეინა, რომელიც ძველი ბერძნულის ძ, ḥ, τὸ ბეინა-ს მსგავსად იბრუნვის, მართალია ეს ფორმა ახალ ბერძნულშიც გვხვდება, მაგრამ ახალ ბერძნულში ის უბრუნველია, და ძირითადად გამოთქმაში გვხვდება ი ბეინა კაὶ ი თάδε (ვიღაცევი). ასევე, ძველი ბერძნულის კითხვითი ნაცვალსახელი ვინ თίς (მამრობითი და მდედრობითი ფორმებისთვის) და თί (საშუალოსთვის, რა მნიშვნელობით), ანალოგიურად გამოიყენება პონტოს დიალექტიც, ოუმცა ფონეტიკურად ოდნავ შეცვლილი ფორმით. ახალ ბერძნულში ეს ნაცვალსახელი არ არის, ვინ მნიშვნელობის გადმოსაცემად ποιος, ποια, ποιο გამოიყენება, πι კი რა მნიშვნელობას გადმოსცემს და ძველი ბერძნულისაგან განსხვავებით, უბრუნველია. შევადაროთ, ძველი ბერძნულის თίς და პონტოური დიალექტის თσίς, თσί ბრუნების პარადიგმები.

ძველი ბერძნული		პონტოური	
მამრ. მდედრ.	საშ.	მამრ. მდედრ.	საშ.
Nom.	τίς	τί	τσίς
Gen.	τίνος	τίνος	τίνος
Dat.	τίνι	τίνι	-----
Acc.	τίνα	τί	τίνα

როგორც სქემიდან ჩანს, განსხვავებები უმნიშვნელოა და ის ან კითხვითი ნაცვალსახელის ფონეტიკური სახის ცვლილებაზე ან დატივის უქონლობაზე დაიყვანება. ასევე ბრუნებისას მსგავასება შეიძლება დავინახოთ პირის ნაცვალსახელთა საშუალო სქესის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაში ეთე, რომელიც პომეროსის ენისთვის დამახასიათებელ წესი ფორმას იმეორებს (Папაძოπიულის 1955:59).

კითხვითი და უარყოფითი კონსტრუქციები

კითხვითი კონსტრუქციები პონტოს დიალექტში ძველი ბერძნულის მსგავსად, როგორც წესი, კითხვითი ნაცვალსახელით ან ზმნიზედით იწყება. თუმცა, ამ მხრივ ახალი ბერძნულიც ძველისგან არ განსხვავდება. რაც შეეხება უარყოფითი ნაცვალსახელების გამოყენებას კითხვით წინადადებაში, პონტოს დიალექტში გამოიყენება განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი არაფერი ბენ, რომელიც ძველი ბერძნული უარყოფითი ნაცვალსახელისაგან არც ერთი იუდენ არის ნაწარმოები და ამავე მნიშვნელობით თიდენ, რომელიც კითხვითი ნაცვალსახელისაგან თ და უარყოფითი ნაცვალსახელისაგან ბენ შედგება. კითხვით წინადადებაში ეს ნაცვალსახელები, ჩვეულებრივ, ძველი ბერძნულის მსგავსად, წინ უსწრებს ზმნას. მაგალითად, ბენ ეიძეს; თიდენ ეიპენ;

ახალ ბერძნულში არაფერის მნიშვნელობით ნაცვალსახელი თიპოთ გამოიყენება. მართალია, ახალ ბერძნულში ზოგჯერ გვხვდება ფორმა იუდეის (იუდემია, იუდენ), მაგრამ ეს ძირითადად, გაქვავებულ არქაიზებულ გამოთქმებშია. მაგალითად, Περί ορέξεων και χρωμάτων ιουδείς λόγος გεθωρებებაზე არ დაკობებ (გორდეზიანი et al. 2001:102). რაც შეეხება წინადადების წყობას, ახალ ბერძნულში ჯერ ზმნა არის, შემდეგ ნაცვალსახელი, მაგალითად, ეიძეს თიპოთ; როგორც ვხედავთ, კითხვით წინადადებაში პონტოურ დიალექტს ძველი ბერძნულისათვის დამახასიათებელი წყობა აქვს.

უარყოფით წინადადებაში უარყოფითი ნაწილაკი კი, რომელიც ძველი ბერძნულის ოქ(ι), ოუχ(ι) ფორმისგანაა ნაწარმოები, ზმნასა და ნაცვალსახელს შორის დაისმის, მაგალითად, გვი 'კ' ეიძა, თიძენ 'კ' ეიპევ. ანალოგიურადაა, საქართველოში მცხოვრები პონტოელი ბერძნების მეტყველებაში, მაგალითად,

eδíne	me	ke	élejen
give:IPFV.PST:3.SG	1:SG.ACC	and	say:IPFV.PST:3.SG
V	PN	C	V
ti	mitéras	tiðén	<u>mi</u> <u>les</u>
DEF:F.SG.GEN	mother:F.SG.GEN	nothing	NEG say:2.SG
D	N	PN	PRT V

Kotanidi et al. 2014: PNT-TXT-FM-00000-B06.011

მაშინ, როდესაც ახალ ბერძნულში უარყოფითი ნაწილაკი გვი ზინ დგას, მაგალითად, გვი ეიძა ტიპოთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველ ბერძნულშიც უარყოფითი წინადადების წყობა ახალი ბერძნულის ანალოგიურადაა, მაგალითად, ოქ ეიძო იუნენა. ანუ, როგორც ვხედავთ პონტოური დიალექტის უარყოფითი წინადადების წყობა ძველი ბერძნულისაგან განსხვავებულია.

დასკვნა

ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ პონტოურ დიალექტს ძველი ბერძნულის მრავალი დამახასიათებელი ნიშანი მოეპოვება და ეს საქართველოში მოპოვებული ფაქტობრივი მასალის საფუძველზეც დასტურდება. ამის მიზეზად კი შეიძლება დავასახელოთ ის ფაქტი, რომ პონტოური ბერძნული უფრო იზოლირებული იყო თანამედროვე ბერძნული ენის ზეგავლენიდან და შესაძლოა ამის გამო უფრო მეტად შეინარჩუნა არქაული ელემენტები.

ბიბლიოგრაფია

მულტიმედიური კორპუსი

Kotanidi, E., Berikashvili, S., & Skopeteas, St. 2014. *Pontic Greek data collection, Version 2.0* (data collected, transcribed, and translated by E. Kotanidi; revised and glossed by S. Berikashvili; corpus design by St. Skopeteas). Bielefeld: Bielefeld University (corpus resource).

ლექსიკონები

Дворецкий, И. Х. 1958. Древнегреческо-русский словарь в двух томах. Москва: Государственное издательство иностранных и национальных словарей.

შამანიძი, ს. (რედ.) 2009. ოხალბურძნულ-ქართული ლექსიკონი. ობილისი: ლოგოსი.

Παπαδοπούλου, Αν. 1960. Ιστορικόν Λεξικόν της Ποντικής Διαλέκτου σε τρεις τόμους. Εν Αθήναις: Τυπογραφείον Μυρτίδη.

გრამატიკები

Соболевский, С. И. 1948. Древне-Греческий язык. Москва: издательство литературы иностранных языков.

Τριανταφυλλίδης, Μ. 2002. Νεοελληνική γραμματική της Δημοτικής. Ανατύπωση της έκδοσης του ΟΕΣΒ (1941) με διορθώσεις. Θεσσαλονίκη: Ίδρυμα Μανόλη Τριανταφυλλίδη.

Παπαδοπούλου, Αν. 1955. Ιστορική γραμματική της Ποντικής διαλέκτου. Αθήναι: Επιτροπή Ποντιακών Μελετών.

გამოკვლეული

ბერიკაშვილი ს. 2012. ქართულ-ბერძნული კონტაქტული გრამატიკა. ობილისი: ლოგოსი.

გორდეზიანი რ., დარჩია ი., & შამანიძი ს. 2001. ძველი და ოხალი ბერძნული. შედარებითი გრამატიკა. ობილისი: ლოგოსი.

Bortone, P. 2009. Greek with No Models, History or Standard: Muslim Pontic Greek. In A. Georgakopoulou & M. Silk (eds.) *Standard Languages and Language Standards: Greek, Past and Present*. Surrey: Ashgate Publishing LTD.

Τομπαΐδη, Δ. 1988. Η Ποντική διάλεκτος. Αθήνα: Επιτροπή Ποντιακών Μελετών.